ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58

ქ. ვანი 28.06.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (ს/კ 229659376) (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჟვანიას სახით და მეორეს მხრივ შპს „დიო“ (ს/კ 201946573) (შემდგომში - მიმწოდებელი),მისი დირექტორის - თამაზ დაუშვილის სახით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,
,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი და ღირებულება:

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-სთვის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, ინტერიერის მოსაწყობი ფარდა ჟალუზების შესყიდვა

1.2 CPV-3950000 (39515430)

1.3 ხელშეკრულების ღირებულებაა **1938,40** (ერთიათასცხრაასოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება:

2.1 მომსახურების მიწოდება 10 სამუშაო დღე
3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:
3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
3.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.
4. ანგარიშსწორება და ვალუტა:

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში
5. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

5.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება

პირგასამტეხლოსა ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოსა გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოსა გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდვლისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა:

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი:

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო,	შპს ,,დიო“
განატლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი	თიბისი ბანკი
ს/კ 229659376	ანგ.GE72TB1959136080100001
დირექტორი თამარ ჟვანია	ს/კ 201946573
	დირექტორი თამაზ დაუშვილი

Vani Municipality Art, Education and Tourism Development Center

Digitally signed by Vani Municipality Art, Education and Tourism Development Center
Date: 2023.06.28 15:48:58 +04'00'

Dio LLC

Digitally signed by Dio LLC
Date: 2023.06.28 16:43:53 +04'00'